

ენერგეტიკის სექტორში 2014 წელს მიმდინარე მოვლენების შეფასება

საქართველოს ენერგეტიკული სექტორისათვის 2014 წელი მნიშვნელოვანი იყო შემდეგი მოვლენების და ტენდენციების გამო:

1. ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა

ბოლო ორი წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური 150 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრით (შილდაჰესი, ბახვიჰესი, ლარსიჰესი, ახმეტაჰესი, ყაზბეგიჰესი, არაგვიჰესი და ფარავანიჰესი). ეს, უდაოდ დადებითი მოვლენაა, რაც აძლიერებს ქვეყნის ენერგეტიკის შესაძლებლობებს.

2. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას 27 ივნისს მოეწერა ხელი და ძალაში 1 სექტემბრიდან შევიდა. ენერგეტიკის სექტორში შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის, ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა. შეთანხმების ენერგეტიკული მუხლების განხორციელების მთავარ პროცესად განსაზღვრულია საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება.

3. ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება

20 თებერვალს გაიხსნა ოფიციალური მოლაპარაკებები ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რაც ენერგეტიკული სექტორის საკანონმდებლო გარემოს გაჯანსაღების, ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებთან დაახლოების და სტრატეგიული სატრანზიტო პროექტების განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა. მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართა რაც საშუალებას იძლეოდა, რომ ოქტომბრამდე საქართველო გამხდარიყო გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი.

საბოლოოდ საქართველოს მხრიდან პროცესი გაჭიანურდა და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება გადაიდო გურკვეველი ვადით, რაც უარყოფითად აისახება ევროინტეგრაციის პროცესზე და აგვიანებს ქვეყნის ენერგეტიკის გარემოს გაჯანსაღებას, ხელს უშლის ენერგეტიკული სექტორის განვითარებას და საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების განხორციელებას.

4. ენერგეტიკული პოლიტიკა

ენერგეტიკის სამინისტრომ დაიწყო ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა და გამოაქვეყნა მისი პროექტი, რაც მისი ერთერთი ძირითადი მოვალეობაა.

აღნიშნული პროცესი ვერ დასრულდა და ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს რამდენადმე დასაბუთებული და საფუძვლიანი ენერგეტიკული პოლიტიკა. სასურველია პროექტის საჯარო განხილვის მოწყობა და გამჭვირვალე პროცესით მისი დახვეწა და დამტკიცება.

5. ენერგეტიკული სტრატეგია

ენერგეტიკის სამინისტროში ჩატარდა ტრენინგები ენერგეტიკული დაგეგმვის მეთოდებზე და დაიწყო ქვეყნის ენერგეტიკულ სტრატეგიის დამუშავება რაც სამინისტროს ერთერთი მთავარი მოვალეობაა.

პროცესი არ დასრულდა და ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს ენერგეტიკული სტრატეგია.

6. ენერგეტიკული ბალანსი

2013 წლის დასაწყისიდან ენერგეტიკის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ენერგეტიკული ბალანსის შედგენაზე, რომელიც ენერგეტიკის კვალიფიციური მართვისთვის აუცილებელ საბაზისო ინფორმაციას წარმოადგენს. 2014 წლის დეკემბერში კი საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა 2013 წლის ენერგეტიკული ბალანსი წარმოადგინა, რომელიც პირველი ოფიციალური ბალანსია ბოლო 12 წლის განმავლობაში. ენერგეტიკულ ბალანსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკის დაგეგმვის და კვალიფიციური მართვისათვის.

7. სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება

გაგრძელდა რაიონების და სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება, გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული გამრიცხველიანებაც. ეს პროცესი, სავარაუდოდ, მომავალ წელსაც გაგრძელდება, რაც დადებითი მოვლენაა.

ამ მოვლენის უარყოფითი მხარეა, რომ ელექტროფიცირება ხდება სახელმწიფოს და არა განაწილების ლიცენზიანტის სახსრებით. განსაკუთრებით შემამფოთებელია, რომ შემსრულებლად, გაუმჭვირვალე გამარტივებული შესყიდვის ფორმით, შერჩეულია იგივე ლიცენზიანტი, რაც კითხვებს ბადებს, როგორც პროცესის გამჭვირვალობის, ასევე მიზანშეწონილობის თვლსაზრისით.

8. ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია

წელს დასრულდა ელექტროგადამცემი ხაზების სენაკი 1,2 და ქვესადგურების “მენჯი-220” და “წყალტუბო-220” რეაბილიტაცია, დაიწყო 500 კილოვოლტიანი სისტემის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს სისტემის მდგრადობას.

9. ახალი სატარიფო მეთოდოლოგია

ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ შეიმუშავა სატარიფო მეთოდოლოგია ელექტროენერგეტიკულ სექტორში გადამცემი, გამანაწილებელი და გენერაციის ობიექტებისათვის და დაიწყო მისი დანერგვა, კერძოდ, ენერგო-პროს ტარიფის დადგენისას, რაც სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია.

სასურველია ამ მეთოდოლოგიის გავრცელება სხვა ენერგეტიკულ კომპანიებზე და მემორანდუმების დამკვიდრებული მახინჯი პრაქტიკის აღმოფხვრა.

10. ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა აქტიურად დაიწყო გორთან ახლოს ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარება, რაც ახალი ტექნოლოგიის დანერგვის პირველი სერიოზული მცდელობაა.

ამავე დროს, ხელი მოეწერა თურქულ კომპანია Energo Windpower-თან მემორანდუმს, რომლის თანახმად, კომპანია 33 თვის განმავლობაში, ფოთის, ქუთაისის, ჭოროხის, საბუეთის გორის, კასპის, სამგორის, რუსთავის, ფარავანისა და ახალქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე შეისწავლის ქარის მონაცემებს და მოამზადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზს რაც ქარის რესურსის ათვისების პირობებს შექმნის.

11. მსხვილი ელექტროსადგურების მშენებლობა

მსხვილი ჰიდროსადგურების, მათ შორის, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მართულებით კეთდება შემაშფოთებელი განცხადებები, რომ შესაძლოა პროექტის განხორციელება საკუთარ თავზე სახელმწიფომ აიღოს რაც არაგონივრული გადაწყვეტილებაა. პროექტი უნდა ხორციელდებოდეს სათანადო საინვესტიციო გარემოს შექმნით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და სტრატეგიული კვალიფიციური ინვესტორების ჩართვით, ასევე, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით და სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების კვალიფიციური გამჭვირვალე პროცესით.

გრძელდება ენერგეტიკის სექტორის სამეურნეო და კომერციულ საქმიანობაში სახელმწიფო ჩარევის გამლერება, რაც საბაზრო პრინციპების დარღვევის და სახელმწიფო-მზრდანებლობითი ეკონომიკისკენ დაბრუნების უარყოფითი ტენდენციაა.

12. ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის ხელშემწყობი გარემო

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრივ რაიმე შესამჩნევი ნაბიჯები არ გადადგმულა და საქართველო რჩება იშვიათ გამონაკლისად როგორც განვითარებულ,

ასევე განვითარებად ქვეყნებს შორის სადაც ჯერ კიდევ არ არის ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის კანონები და შესაბამისი სახელმწიფო ღონისძიებები.

საქართველო 2015 წელს ენერგეტიკული ქარტიის თავჯდომარე ქვეყანა იქნება და ეს გარკვეულწილად პასუხისმგებლობას დააკისრებს ენერგოეფექტურობის შესახებ გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს უარყოფითი ტენდენციები დაძლეული იქნება, ხოლო დადებითი კიდევ უფრო განმტკიცდება და შედეგს მოიტანს; გაგრძელება წელს დაწყებული პროექტები, მოხდება ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ეფექტიანად შესრულება, მათ შორის, ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება, ენერგეტიკის სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება და საკანონმდებლო გარემოს გაჯანსაღება, რათა ხელი შეეწყოს ინვესტიციებს და სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას.

WEG

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკის და მდგრადი განვითარების ინსტიტუტი

2014 წ. დეკემბერი

www.weg.ge, www.iliauni.edu.ge